კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება

სამუშაო შეხვედრების გეგმა

კოლეგებთან შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის სახელი, გვარი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ნათელა მაჭარაშვილი

#	შეხვედრის თარიღი	შეხვედრის მიზანი	შეხვედრის თემატიკა
1	10.04.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.	მოსწავლეებში აზროვნების აქტივაციის მეთოდები-სწავლა კეთებით და თანამშრომლობითი სწავლება.
2	17.04.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება. .	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.
3	24.04.2019	სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.	პროექტებით სწავლება.

1შეხვედრის თარიღი-10.04.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების კონკრეტული გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა:

-მოსწავლეებში აზროვნების აქტივაციის მეთოდები-სწავლა კეთებით და თანამშრომლობითი სწავლება.

აქტუალობა-სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა სწავლა კეთებით და თანამშრომლობით სწავლება. კეთებით სწავლების დროს ხდება ინფორმაციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისათვის, რომლის მთავარი პრინციპია მოსწავლეებისათვის პრაქტიკული დავალებების მიცემა, მათი წახალისება,სათანადო უკუკავშირის განხორციელება.

კეთებით სწავლის დროს მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის შედეგად მას ეძლევა გამოცდილებით სწავლის საშუალება.ასევე მასწავლებელი მოსწავლეს ისეთ დავალებებს აძლევს, რომლის პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭიროა ახლად ახსნილი ცნებების გამოყენება.ეს შეიძლება იყოს კონკრეტული მოდელების შექმნა(მაგ, მათემატიკური ფიგურების),კონკრეტული კანონების ჩაწერა, პოსტერების შექმნა კონკრეტულ თემაზე , ღონისძიების დაგეგმვა , მაკეტებისა თუ რუკების შექმნა, პრეზენტაციების გაკეთება და ა.შ. დიუის ეს მეთოდი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეს სხვადასხვა სახით სისტემაში მოჰყავს ნასწავლი ფაქტები/ცნებები.

თანამშრომლობითი სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში. ეს სწავლების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაოს თანაბრად განაწილებასა და შესრულებას,მზაობას ჯგუფში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად,მოსაზრებების , ცოდნის გაზიარებას,გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას.აქვე ერთობლივად დავგეგმეთ გაკვეთილები, რომელიც კეთებით სწავლასა და თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული. თანამშრომლობის დროს ბევრად შეღეგიანია კეთებით სწავლა, რადგან ყველა მოსწავლის გამოცდილების გამოყენება ხდება რაიმე ახლის შექმნის დროს.

სწავლა კეთებით-ეს ის მომენტია, როდესაც მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობაა ჩაბმულია სასწავლო პროცესში.

თუმცა მნიშვნელოვანია მონიტორინგის განხორციელება ყველა მოსწავლის ჩართულობის კონტროლის თვალსაზრისით.

2შეხვედრის თარიღი-17.04.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა:

-პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

აქტუალობა-პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიაა. ასეთ დროს მოსწავლეები იძენენ სათანადო გამოცდილებას. მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს საკითხი, რომელზეც არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი,თუმცა ის საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებასა და იდეების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ნასწავლი მასალა, მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია და თავიანთი ხედვა უნდა ჩამოაყალიბონ. ამისათვის საჭიროა პრობლემის გამოკვეთა,მის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება,განსაზღვრა იმისა ,თუ რა არის ამ ეტაპზე ცნობილი და რა არის საძიებელი,იდეების თავისუფლად წარმოდგენა,შესაძლო ალტერნატივების მოძიება, შესაბამისი გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა, სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება,შედეგების შემოწმება და შეფასება.და რადგან ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, მათ უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები,ახდენენ ცოდნის სისტემატიზაციას,დამოუკიდებლად ეძიებს საჭირო ინფორმაციას,პასუხისმდებლობას იღებს საკუთარ სწავლაზე და იგი აქტიურად შეიმეცნებს საკითხს. ბუნებრივია, ეს მეტად მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარია. პრობლემური ტიპის ამოცანების დროს შესაძლოა ხდებოდეს ასევე შედარება-შეპირისპირება, კანონზომიერების აღმოჩენა,ობიექტებზე შეხედულებების შეცვლა,ექსპერიმენტის/ცდის ჩატარება. აქ პედაგოგებს წარვუდგინე ჩემი რესურსი,,თეთრები და შავები" თავისი რეფლექსიით, რომელიც მე-8 კლასში რასობრივი დისკრიმინაციის თემასთან მიმართებაში გამოვიყენე და რომელიც, რა თქმა უნდა, უდიდესი პრობლემაა . ამ გაკვეთილზე ერთი ჯგუფის მიერ წარმოდგენილმა არგუმენტირებულმა იდეებმა მეორე ჯგუფს შეაცვლევინა თავისი დამოკიდებულება საკითხისადმი,რადგან საბოლოოდ პრობლემის გააზრება საკმაოდ სრულყოფილად განხორციელდა მოსწავლეთა მიერ.

ბუნებრივია, ასეთი სახის სწავლებას მართლაც შეუძლია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება.

3 შეხვედრის თარიღი-24.04.2019;

მიზანი-სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.

შეხვედრის თემატიკა

-პროექტებით სწავლება.

აქტუალობა-პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია პროექტებით სწავლება. იგი მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. ამ დროს მოსწავლე აქტიური შემმეცნებელია, მიმართავს თვითგანათლებას,ეძიებს საჭირო ინფორმაციას,ამის შემდეგ კვლავ უბრუნდება მთავარ საკითხს/პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას, ბოლოს კი აფასებს საკუთარ თავს. პროექტი შეიძლება იყოს პრაქტიკული, კვლევითი, საინფორმაციო და შემოქმედებითი. მთავარია, რა ღირებულება ექნება მას საბოლოოდ. მასწავლებლებს წარვუდგინე პროექტის ფორმა, ჩემ მიერ განხორციელებული სასწავლო თუ სოციალური პროექტები(,,სხვადასხვა ჭრილში დანახული პირამიდები," ,,მე ვირჩევ ევროპას, შენ?",, 9 აპრილიდან 9 აპრილამდე ანუ ტრაგედიიდან დამოუკიდებლობამდე"), მასწავლებლებმა ამოიცნეს პროექტის ტიპი. აქვე შევთანხმდით, რომ სხვადასხვა კათედრებს ერთობლივი პროექტი გაგვეკეთებინა.

პროექტებით სწავლება მართლაც ხელს უწყობს მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარებას.

სამივე შეხვედრის შეჯამება- შეხვედრების დროს დასახული მიზნის მიღწევა ნამდვილად მოხდა. ყველა საკითხი ამომწურავად იქნა განხილული. მასწავლებელთა ცნობიერება გაიზარდა , შესაბამისად, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვით აუცილებლად მოხდება მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარება.

შეხვედრას მუდმივად ესწრებოდა ცხრა პედაგოგი, მაგრამ ნაწილმა უარი განაცხადა რეფლექსიების დაწერაზე, თუმცა შეხვედრების ეფექტურობას ადასტურებს შეხვედრებში მონაწილე დანარჩენი ხუთი მასწავლებლის რეფლექსია, რომელიც შესაბამისად ატვირთეს eschool-ის ბაზაში(ნელი გაბიდური, ირინე იაკობაშვილი, თამარ მეცხვარიშვილი,მარეხი კუტალაძე, მზია დეკანოიძე),სწორედ ამიტომ დასწრების ფურცელში მინიშნებული მაქვს მხოლოდ იმ პედაგოგების მონაცემები, რომლებმაც დაწერეს და ატვირთეს რეფლექსიები.

დანართის სახით წარმოდგენილი დასწრების ფურცელი შეხვედრების ჩატარების თარიღის, დროისა და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.